

## გზაჯვარედინის გენერლები



პროფესია მავალდებულებს, ხშირად მივაკითხო სახელისუფლებო დაწესებულებებს. გულწრფელად მიხარია, როცა მოწესრიგებულ ინტერიერებში ასევე მოწესრიგებული (გარეგნულად მაინც) თანამშრომლები მხვდებიან. ჟურნალისტობის გადამკიდე სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მონახულებაც მიწევს, მაგალითად, სახლების, სადაც მზრუნველობას მოკლებული ბავშვები ცხოვრობენ. იქაც კეთილგანწყობილი თანამშრომლები მეგებებიან, თუმცა გარემო, სადაც ბავშვები იმყოფებიან, მეტი რომ არ შეიძლება, ისე განსხვავდება ჩვენი სამინისტროებისა თუ დეპარტამენტებისაგან. უცნაურია, ღმერთმანი! თუ ჩვენი კეთილდღეობის წელთაღრიცხვა 2003 წლიდან იწყება და, რაც მთავარია, ამ არასრულ ოთხ წელიწადში არნახულ წარმატებებს მივაღწიეთ, საიდან ამდენი მიუსაფარი? ზუსტად რამდენი მოზარდია დარჩენილი უსახლკაროდ, ამის დადგენა, სამწუხაროდ, არ ხერხდება, მაგრამ მათი რაოდენობა დღითიდღე რომ მატულობს, ეს თვალშისაცემია.

### **დამარცვლეთ და ისე**

დე-ინ-სტი-ტუ-ცი-ო-ნა-ლი-ზა-ცი-ა - წარმოსათქმელად მართლაც ძნელია, კიდევ უფრო ძნელია იმ სიღრმეების წვდომა, რაც ამ სიტყვის მიღმა იმალება. იყვნენ ოჯახები, რომელთაც ბავშვების გამოსაკვებად საჭირო თანხა არ ჰყოფნიდათ და შვილებს ბავშვთა სახლებში აბარებდნენ. მერე მოხდა რევოლუცია (ახლა არ მკითხოთ, რომელი) და ეს ბავშვები ნელ-ნელა ოჯახებს უბრუნდებიან. ბევრი ითვალეს თუ ცოტა, დაადგინეს, რომ თვეში 60 ლარი საკმარისია იმისათვის, რომ მშობელმა შვილი ოჯახში იყოლიოს. გაამართლა თუ არა დეინსტიტუციონალიზაციის ქართულმა პროგრამამ, ამაზე, უმჯობესია, დღეს არ ვილაპარაკოთ, რადგან ორი წლის შედეგებით საჭირო დასკვნების გამოტანა გაჭირდება. საქმე ისაა, რომ წლევეანდელი ბიუჯეტი 60 ლარის გაზრდას არ ითვალისწინებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ცხოვრების გაძვირების ფონზე უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს ეს თანხა მაინც არ ეყოფათ და ბავშვი კვლავინდებურად ან ბავშვთა სახლში მოხვდება, ან ქუჩაში დარჩება. დამავიწყდა მეთქვა: ეს რთულად გამოსათქმელი დეინსტიტუციონალიზაცია იმასაც გულისხმობს, რომ სახელმწიფომ უპატრონო ბავშვს მიმღები ოჯახი გამოუმეზნოს. ჩვენც ვცდილობთ, ცივილიზებულ სამყაროს ფეხი ავუბათ და დაბრკოლებების მიუხედავად, საპროგრამო მასალა დავძლიოთ. უსიამოვნო შემთხვევებს რაც შეეხება, მოხდა ისე, ოჯახმა ბავშვი იშვილა, შინ წაიყვანა და მერე ყველაფერი ისე განვითარდა, ზღაპრებში რომ წაგვიკითხავს: ღვიძლი შვილი ტახტზე იყო წამოკოტრიალებული და ჭერში ბუხებს ითვლიდა, აყვანილი - წელზე ფეხს იდგამდა და იმაზეც ყაბულს იყო, სადამოს მაწვნის შეჭამანდს თუ უწილადებდნენ. ჩვენს ბავშვთა სახლებში ისეთივე მდგომარეობაა შექმნილი, რა მდგომარეობაცაა ზოგადად სახელმწიფოში, მაგრამ ისიც უდავოა, რომ მათგან საუკეთესოშიც კი ბავშვი თავს ბედნიერად ვერ იგრძნობს. დღეს ამ ტიპის დაწესებულებებს სხვადასხვა სტატუსი მიანიჭეს, შესაბამისად, განსხვავებული ტაქტიკით მოქმედებენ, თუმცა საერთო გაცილებით მეტი აქვთ - ყველა ერთ საქმეს ემსახურება. ასე რომ, დიდ ცოდვას არ ჩავიდენ, თუ მათ ბავშვთა სახლებად

მოვიხსენიებ, მით უფრო, რომ ეს პუბლიკაცია მიზნად არ ისახავს, კონკრეტულად რომელიმე მათგანზე გაამახვილოს ყურადღება.

კიდევ ერთი უცხო სიტყვა გამახსენდა - პრევენცია. ჩვენ შემთხვევაში ეს შემდეგს ნიშნავს: სახელმწიფომ ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ ბავშვი თავიდანვე ჯანსაღ გარემოში გაიზარდოს და ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქე გახდეს. ვერ ვიტყვით, რომ დანაშაულს მხოლოდ მზრუნველობას მოკლებული მოზარდები სჩადიან, მაგრამ ბავშვთა სახლებში, სოციალური ადაპტაციის ცენტრებსა თუ თავშესაფრებში მოხვედრილთა დიდი ნაწილი კრიმინალისკენ რომ არის მიდრეკილი, ეს სიმართლეა. ამიტომაც არ გამკვირვებია, როცა თბილისის ერთ-ერთ ასეთ დაწესებულებაში შემდეგი სცენა გათამაშდა: ჩემთან ერთად აღმზრდელი ზის და ბიჭებს იქვე, სკამზე დაგდებული ასანთის კოლოფის სამზარეულოში დაბრუნებას სთხოვს. წასვლა ეზარებათ და ექსპრომტად ასეთი "თამაში" წამოიწყეს: ეეე, ვითომ ეს (ანუ კოლოფი) ოქროს ვეშჩია, ეს (ანუ სკამი) - მუზეუმი, შენ კიდევ ქურდი ხარ, დავაი, აილე და დაგაზე. "მუზეუმი" აშკარად კონტექსტიდანაა ამოგლეჯილი და იმაზე მიუთითებს, რომ იქაური პერსონალის წყალობით რომელიღაც საგამოფენო სივრცეში მოხვედრილან. მინდა ოპტიმისტი ვიყო და დავიჯერო, რომ განათლება თავისას იზამს და ერთხელაც იქნება, ძვირფასი ექსპონატი მხოლოდ ძვირფას "ვეშჩად" არ მოეჩვენებათ. სხვა ვარიანტიც დამაკმაყოფილებს: ეს "ვეშჩი" მართლაც ძვირფასია, მაგრამ მოპარვისგან თავი უნდა შეიკავონ.

## **ბიძიებო, დეიდებო, თქვენი შვილები გაიხარონ**

სამწუხაროდ, ამ ბავშვების უმრავლესობას დედაც ჰყავს, მამაც და ბებია-ბაბუებიც. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ მათგანს თავ-თავიანთი ისტორია აქვს, ამ სახლებში ყველა გაჭირვებამ მიიყვანა. ზოგს მშობელი აბარებს, ზოგს - პატრული, საკუთარი ფეხით მისვლასაც არ თაკილობენ, განსაკუთრებით - ზამთარში, როცა მშიერ კუჭზე ქუჩაში ღამის გათენება აუტანელი ხდება. მშობლების უმრავლესობა ირწმუნება, როგორც კი მატერიალურად მომაგრდება, შვილს სახლში წაიყვანს. ამასობაში გადის თვეები, წლები, მშობლები იშვიათად ჩნდებიან ან სამუდამოდ იკარგებიან და ბავშვებიც გულისამაჩუყებელ ისტორიებს თხზავენ. გამსახურდიას უწერია ერთგან: ყველა კახა თავს იმართლებს, პორუჩიკმა შემაცდინაო. ასეა. ჩვეულებრივ ასეთი ბავშვი საკუთარ ბიოგრაფიას საგულდაგულოდ მალავს და უცხო ადამიანს გამოგონილ ამბავს უყვება, თუმცა სიმართლე და ტყუილი ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, რომ ზღაპარში დედა, როგორც წესი, ცოცხალი აღარ არის. ისტორიები კი მართლაც დამაფიქრებელია, რომ არაფერი ვთქვათ ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების დასკვნებზე. მათ ჩანაწერებში ასეთი წინადადებები ჭარბობს: სუიციდისკენ მიდრეკილება, ფსიქოპათია, სოციალური დეპრივაცია. დანიშნულებაც შესაბამისია: ესაჭიროება უსაფრთხო გარემო, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, ინდივიდუალური ფსიქოთერაპია, პედაგოგიური ჩამორჩენილობის აღმოფხვრა. კაცმა რომ თქვას, რას უნდა ელოდო ბიჭისგან, რომელიც მშობელმა დიდ ბიძიებს მიაქირავა? ან როგორ უნდა უშველო თითის სიგრძე გოგონას, რომელიც უკვე თვითონ გახდა მოძალადე და დედის მოკვლა დააპირა? სამწუხაროდ, ეს ბავშვები სოციალური ადაპტაციის ცენტრებსა თუ თავშესაფრებში იმ ასაკში ხვდებიან, როცა

მათი გამოსწორების შანსი სულ უფრო და უფრო კლებულობს. რამდენად ძნელია ახალგაზრდების დასაქმება ჩვენს ქვეყანაში, ამაზე ახლა ნუ ვილაპარაკებთ, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა მზრუნველობას მოკლებული მოზარდებს (ცხადია, შეზღუდული რაოდენობით) სამსახური გამოუნახეს ან ხელობის შესწავლა შესთავაზეს, უმრავლესობას ენთუზიაზმი მხოლოდ რამდენიმე დღეს გაჰყვა და ისევ ჩვეულ ყოფას მიუბრუნდა.

ჩვეული ყოფა კი ასეთია: წვრილმანი ქურდობა, პროსტიტუცია ადრეულ ასაკში, წებოს ყნოსვა, კლოფელინის ყლაპვა, ინტერნეტკაფეებში 3 ლარად ღამეების გათენება და მოზარდის ფსიქიკისათვის მავნე საიტებში მოგზაურობა, ხულიგნობა, მაწანწალობა.... სანამ პატარები არიან, მშობლები ამათხოვრებენ. როგორც ირკვევა, ეს საკმაოდ წარმატებული ბიზნესია. ბავშვის დაქირავება დღეში 5 ლარი ღირს (ასაკს და გარეგნობას გააჩნია), ერთი ადგილი კი თვეში 60-70 ლარამდე მერყეობს. მოგვიანებით, როცა წამოიზრდებიან და ხელგაწვდილები გულს ველარავის ვერ უჩუყებენ, მათი უმრავლესობა მშობლისთვის ზედმეტი ტვირთი ხდება და ისინიც ქუჩაში დასამკვიდრებლად რთულ და გრძელ გზას გადიან. ცხოვრობენ მიტოვებულ ხუხულებში, დაჭეჭილ ფურგონებში, დაუმთავრებელ შენობებში... მათი ნათესაური კავშირები ძნელი დასადგენია. ხშირად მხოლოდ ის ვიცით, რომ რამდენიმე და-ძმას საერთო დედა და სხვადასხვა მამები ჰყავთ, შესაბამისად, ძნელი დასადგენია მათი ასაკი ან ეთნიკური წარმომავლობა. ამიტომაც, რომ ყველა, ვისაც ამ ბავშვებთან უხდება მუშაობა, ერთხმად აღნიშნავს: თუ მათზე ზრუნვა ადრეულ ასაკშივე არ დაიწყება, კანონი არ გამკაცრდება და დღის წესრიგში არ დადგება მშობლის უფლების ჩამორთმევის საკითხი, საუკეთესო ცენტრებიც კი პრობლემას ვერ გადაჭრის. მხოლოდ იმით თუ ვინუგეშებთ თავს, რომ დროდადრო მშვიერ ადამიანს დავაპურებთ, დავბანთ და თავმესაფარს მივუჩინებ. ტოლსტოის მიბაძვით რომ ვთქვათ: ყველა უპატრონო ბავშვი ერთნაირად უბედურია და ყველა უპატრონო ბავშვი ბედნიერია თავისებურად.

## არჩეONE-ი

სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, მოქმედებს თუ არა საზოგადოებაზე გულისამაჩუყებელი რეპორტაჟები ბავშვთა სახლებიდან, მით უფრო მაშინ, როცა ეს ინსტიტუციები ვიზუალურად თითქმის არაფრით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან: აღმზრდელები ერთნაირად კეთილები არიან, აღსაზღდელები - ერთნაირად რთულები, შენობები ერთნაირად ავარიულია, საერთაშორისო ორგანიზაციების მზრუნველობასაც მეტნაკლებად ერთნაირი სიხშირით შეიგრძნობენ და ბიუჯეტიც ერთსა და იმავე კვების რაციონზეა გათვლილი. ბავშვების ნახატებით დაფარული კედლები, სამლოცველო კუთხეები, აქა-იქ ტელევიზორები, თვალისმომჭრელი პლაკატები სხვადასხვა ვარიაციებით: შავკანიანი გოგო, წვრილთვალება ბიჭი, სქელტუჩა მასწავლებელი და, რა თქმა უნდა, ცნობილი კინოვარსკვლავი ან ფეხბურთელი. გადაუჭრელი პრობლემა - ენურეზი და მუდმივად გასამზებელი ქვემაგებელი. არავინ კუთხულობს, სად უნდა მოათავსონ ბავშვი, რომელსაც სერიოზული ფსიქიკური გადახრა აღენიშნება. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო მხოლოდ გონებრივად შეზღუდული მიუსაფარი ბავშვების მეურვეობას კისრულობს,

ფსიქიატრიული პროფილის მოზარდებისთვის კი, ვისაც ხანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროება, ჩვენს ქვეყანაში არც ერთი სამედიცინო დაწესებულება არ მოიძებნება. პერსონალს რაც შეეხება, ზოგი დირექტორი საბჭოთა სტანდარტებს მისტირის და დარწმუნებულია, რომ მზრუნველობას მოკლებული ბავშვების ერთ დიდი ოჯახად ყოფნა სასარგებლოა. ზოგი, პირიქით, ფიქრობს, რომ ბავშვთა სახლები აუცილებლად უნდა გაუქმდეს. მათი აზრით, თუ ყველას ოჯახს ვერ მოუძებნიან, ერთად მხოლოდ რამდენიმე ბავშვის ცხოვრებაა მიზანშეწონილი. ისეთებიც არიან, ვინც მიიჩნევს, რომ რაც მეტი ალტერნატიული სარეაბილიტაციო ცენტრი თუ თავშესაფარი გაიხსნება, მით უფრო გაუადვილდება უსახლკაროდ დარჩენილ მოზარდს არჩევანის გაკეთება ქუჩასა და ჟანსად გარემოს შორის. ისინი კი, ვინც ადრეულ ასაკშივე დროის ხანგრძლივ მონაკვეთს ღია ცის ქვეშ ატარებენ, გახამებულ პერანგებსა თუ სუფთა თეთრეულზე მეტად წებოსა და ალკოჰოლზე ოცნებობენ. აქედან ხომ არ იწყება "ბედნიერ მომავალზე" ფიქრი?

### **ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან**

როდესაც სახელმწიფო არასრულწლოვანებისთვის კანონის გამკაცრებას მოითხოვს, ალბათ პრევენციული ზომების გატარებაზეც უნდა ფიქრობდეს. ზემოთ აღვნიშნე, დეინსტიტუციონალიზაცია მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისთვის მიმღები ოჯახების მოძიებასაც გულისხმობს. დღეს მოქმედი კანონმდებლობით ბავშვის გაშვილება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ბავშვი ან ობოლია, ან მშობელი თანახმაა გაშვილებაზე, ან კიდევ ამ უკანასკნელს მშობლის უფლება აქვს ჩამორთმეული. რეალობა კი გვიჩვენებს, რომ მშობელი, რომელსაც არათუ არ უნდა მოსთხოვო შვილზე ზრუნვა, არამედ მასთან სიახლოვეც უნდა აუკრძალო, შვილზე უარს თავისი ნებით იშვიათად ამბობს - უფრო მერკანტილური მოსაზრებებიდან გამომდინარე. გვაქვს თუ არა საფუძველი ვიფიქროთ, რომ მშობლისთვის უფლებების ჩამორთმევის ან დროებით შეჩერების თვალსაზრისით სახელმწიფო ზედმეტად ლოიალურად იქცევა? და ეს მაშინ, როცა 12 წლის მოზარდს, თუ ის დანაშაულს ჩაიდენს, გაასამართლებენ და სასჯელთაღსრულების დაწესებულებებში გაამწყსებენ.

პრობლემას ქმნის დაუხვეწავი კანონმდებლობა და მშობლის უფლების ჩამორთმევის ურთულესი პროცედურა. რადგან წინა წლების მონაცემების მოძიება ვერ ხერხდება, ამ ციფრებით დაგვიყვარებო: 2002 წელს მშობლის უფლება ჩამოერთვა 23 მშობელს, 2003 - 11, 2004 - 14, 2005 - 10, 2006 - 16 ძნელი დასაჯერებელია, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ 74 მშობელი გამოდგა უვარგისი. გაშვილებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა პირდაპირი გზით გაშვილების წესი, როცა დედას უფლება ეძლევა ბავშვი სრულიად უცხო ადამიანს მიაშვილოს, რაც სინამდვილეში ჩვილის გაყიდვას გულისხმობს. რიცხვებში ეს ასე აისახება: 2005 წელს პირდაპირი წესით 41 ბავშვი გააშვილეს, 2006-ში - 54. ბუნებრივია, სახელმწიფოსთვის ეს კორუფციული გარიგებაა და კანონის დონეზე მსგავსი ჩანაწერის დატოვება დაუშვებელია. მაგრამ ახლა სხვა კუთხითაც შევხედოთ პრობლემას: იქნებ ჯობდეს, ბავშვები, რომლებიც აუცილებლად ქუჩაში მოხვდებიან, ვიღაცამ ადრეულ ასაკშივე იშვილოს, თუნდაც ამაში სოლიდური თანხა გადაიხადოს?

სახელმწიფო ასე იმიტომ არ ირჯება, რომ მშობლის უფლებებზე ზრუნავს, რაც, თავის მხრივ გასათვალისწინებელია. წარმომადგენია, რამდენი მაღალრეიტინგული გადაცემა გაკეთდებოდა ამ თემაზე: გაუბედურებული დედა და ბოროტი სოციალური მუშაკი, რომელიც ატირებულ ბავშვს დედის კალთას მოჰკლევს და ჩარაზულ სახლში გამომამწყვდევს. საქმე უფრო სერიოზულადაა. ამ დღეებში პარლამენტმა მეორე მოსმენით უნდა განიხილოს კანონპროექტი "შვილად აყვანის შესახებ", სადაც ასეთი პუნქტია მითითებული: თუ მშობელი თავს არიდებს ბავშვზე ზრუნვას და თვეში ერთხელ მაინც არ ნახულობს ბავშვს (დროის ეს მონაკვეთი ზედმეტად მკაცრი მოთხოვნა ხომ არ არის? - ს.თ.), ასეთი ბავშვი მიტოვებულად ითვლება და მისი გაშვილება კანონის დარღვევად არ ჩაითვლება. დავუშვათ, პარლამენტმა დაამტკიცა ეს კანონპროექტი, მაშინ დღის წესრიგში ავტომატურად დადგება მშობლებისთვის უფლების ჩამორთმევის საკითხი და, სამწუხაროდ, ბევრ დედას თუ მამას უკვე სასამართლოს ძალით მოუწევს შვილზე უარის თქმა. ასე მგონია, ის გარემო, სადაც ამგვარი ოჯახების შვილებს დღეს უხდებათ ყოფნა, გაცილებით აუტანელია, ვიდრე ყველაზე უარეს ბავშვთა სახლში გამწესება - ისეთშიც კი, დიკენსისი რომანებში რომ ამოგვიკითხავს. ახლა ჩვენს მენტალობასაც თუ გავითვალისწინებთ და ვაღიარებთ, რომ უშვილო წყვილებსა და მარტოხელა ქალებს უჭირთ ამ კატეგორიის ბავშვების შვილად აყვანა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბავშვი, რომლის ბიოლოგიურ დედას ან მამას მშობლის უფლება ჩამოართვეს, ისევ თავშესაფრებში მოხვდება. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, იმ სახლების ხელახლა გახსნა მოგვიხდეს, რაც დეინსტიტუციონალიზაციის ფარგლებში საგრძნობლად შევამცირეთ. საქმეს გაართულებს ისიც, რომ მომავალი წლიდან მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე მეურვეობა არა განათლებისა და მეცნიერების, არამედ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა. ჩვენ კი ვიცით: სახელმწიფო სტრუქტურებში ახალი ხელმძღვანელის დანიშვნას ან ერთი ინსტიტუციის მეორედ გადაკათებას კადრების საყოველთაო ცვლა მოჰყვება ხოლმე. ასე რომ, არ გამიკვირდება, თუ სოციალურ მუშაკებს სოციალური აგენტები ჩაენაცვლებიან, თანაც ისე, რომ წინა წლების გამოცდილებას არავინ არ გაიზიარებს და ყველაფერს თავიდან დაიწყებენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირად ამ ბავშვებისთვის დაბადებისა თუ პირადობის მოწმობების გაცემა მხოლოდ იმ მიზეზით არ მნელდება, რომ მათი იდენტიფიკაცია საკმაოდ რთულია. საქმეს ბიუროკრატიაც ართულებს. ამიტომაც, რომ ბავშვთა სახლებში ისეთ მოზარდებსაც წააწყდებით, მხოლოდ სიტყვაზე თუ ვენდობით, რამდენი წლისაა, სად დაიბადა და ვინ არიან მისი მშობლები.

## სპეცკონცერტი

თბილისიდან სამტრედიამდე 3 საათის სავალი გზაა - ეს ჩვენთვის, ვინც ერთი პუნქტიდან მეორემდე მანძილს კილომეტრობით ვზომავთ. იქ, სადაც ოდესღაც ტრანსკონტინენტური სარკინიგზო მაგისტრალი გადიოდა, ერთი ჩვეულებრივი საჯარო სკოლა ქალაქის განაპირას დღემდე არაჩვეულებრივი კონტინენტითაა დაკომპლექტებული. რიგითი სასწავლებელი ყოფილი სპეცსკოლაა, გამორჩეული მოსწავლეები - მოზარდები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ 14 წელი არ შესრულებიათ. დანაშაულში, ცხადია, არ ითვლება წვრილ-წვრილი კანონდარღვევები, რაც მზრუნველობას მოკლებული ბავშვების ცხოვრების წესია. ლაპარაკია ყაჩაღობაზე, მკვლელობაზე, გაუპატიურების მცდელობაზე. სხვა

სკოლებისაგან განსხვავებით აქ მხოლოდ ბიჭები იმყოფებიან და სკოლის ტერიტორიას იშვიათად ტოვებენ, ისიც მასწავლებლებისა და აღმზრდელების მეთვალყურეობით. თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, "პატრონიანი" ბავშვები სამტრედიის იშვიათად ხვდებიან იმ მიზეზით, რომ მათი საქმეები, როგორც წესი, სამართალდამცველებამდე არ აღწევს. სხვათა შორის, სამტრედიის სკოლაში, რომელიც ერთდერთი დახურული სასწავლებელია ჩვენს ქვეყანაში, მზრუნველობამოკლებული ბავშვების გაგზავნაც ძნელდება. მოგეხსენებათ, დანაშაულის დამტკიცებას მოწმის ჩვენებაც სჭირდება, მოწმე კი ჩვენს ქვეყანაში სანთლთ საძებარია. აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ საზოგადოება ამ ტიპის დაწესებულებებს იმდენად არ ენდობა, დამნაშავე მოზარდი, მათ შორის მზრუნველობას მოკლებულიც, იქ გასამწესებლად არ ემეტება.

უცნაურია, მაგრამ ასეა: სამტრედიის სკოლაში მოხვედრილები გარეთ გასვლას დიდად არ ელტვიან. როგორც ჩანს, მათთვის რეჟიმში ყოფნა უფრო მეტი კომფორტია, ვიდრე ქუჩა-ქუჩა წანწალი. აქედან გასულეებს, რომლებიც ამასობაში სრულწლოვანები ხდებიან, სახელმწიფო არაფერს არ სთავაზობს და უმრავლესობა ისევ "ოჯახებს" უბრუნდება. ერთადერთი ხსნა ქართული ჯარია, თუმცა ელიტარულ ნაწილებში მოხვედრას დიდი ძალისხმევა სჭირდება. აქ იციან, რომ დავიდოვიჩის (ასე დირექტორს მიმართავენ) ნდობის მოსაპოვებლად მხოლოდ წებოზე და სიგარეტზე უარის თქმა არ კმარა. ისიც ესმით, მასწავლებლები და აღმზრდელები იმიტომაც არ უნდა გააბრაზონ, რომ შენიშვნები პერსონალმაც არ დაიმსახუროს. ვინც სოფლიდანაა მოხვედრილი და ჯერ კიდევ ახსოვს პასტორალური ყოფის სიტკბო, სანდრას ნაჩუქარ ძროხებს ხალისით უვლის. ქალაქელები შორიდან აკვირდებიან, თუმცა მინიფერმაში ამოყვანილ ყველს აღსაზრდელებიცა და აღმზრდელებიც ერთნაირად გემრიელად მიირთმევენ. თანამედროვე პედაგოგიკის მიღწევებზე აქ თითქმის არაფერი სმენიათ. ამიტომაც ნუ გაგიკვირდებათ, როცა საგულდაგულოდ მომზადებულ საკონცერტო სკეტჩებში მდებრობითი სქესის გროტესკულ პერსონაჟებს მამრობითი სქესის კონტინგენტი განსაკუთრებული აღტყინებით განასახიერებს. ეს, რა თქმა უნდა, არც შექსპირის და, მით უფრო, არც კაბუკის თეატრების გამოძახილი არ არის. ასე აქ საპირისპირო სქესის მიმართ მოჭარბებულ ინტერესს ანეიტრალეზენ. ძნელი დასაჯერებელია, რომ აღსაზრდელებმა ქუჩაში შეძენილი მავნე ჩვევები დახურულ სივრცეში სამუდამოდ დაივიწყეს და რომ ჭამის წინ ხაზზე ჩამწკრივებულები ყოველთვის გულწრფელად უხდიან მადლობას მასწავლებლებს. მაგრამ ასევე დაუჯერებელია, რომ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ნდობის არარსებობის შემთხვევაში ბავშვს, რომელმაც სერიოზული დანაშაული ჩაიდინა, სცენაზე აიყვან, აცეკვებ და ლექსებს ათქმევინებ დედასა და სამშობლოზე. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რას უნდა შეეპირდეთ ჩვენს წამოჩიტულ, დაპურებულ შვილებს, რომ ერთსაათიანი წარმოდგენა ჯერ ჟურნალისტების წინაშე გაითამაშონ, ოცი წუთის შემდეგ კი იგივე რეპერტუარით რომელიღაც კათოლიკური მისიის წინაშე წარდგინენ. მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულს გოგონებიც სჩადიან, ჯერჯერობით მათთვის სამტრედიის მსგავსი დახურული სასწავლებელი არსად არ გახსნილა. საინტერესოა, როგორ გადანაწილდებოდა როლები იქ გამართულ კონცერტზე?

## გამოცანები

ჯერ კიდევ შარშან შემწეობებთან დაკავშირებით ერთ მოხელეს კომენტარი ვთხოვე. როგორც ჩანს, ჩემმა ტონმა გააღიზიანა და სერიოზულად მკითხა: შემთხვევით თქვენ ლეიბორისტული პარტიის წევრი ხომ არ ბრძანდებითო? საკითხის ასე დასმამ იმდენად დამაბნია, მახსოვს, თავის გასამართლებლად ამოვიღულულუდე: სხვათა შორის, ინგლისსაც ლეიბორისტები მართავენ-მეთქი და ამით ჩემი პოლიტიკური ორიენტაცია იმ ჩინოვნიკისთვის ბოლომდე საცნაური გავხადე. სამწუხაროდ, სოციალური პრობლემები იმდენად მნიშვნელოვანი შეიქნა და უკვე იმდენი პოლიტიკოსი გვპირდება მათ მოგვარებას, არც კი ვიცი, ამჯერად რომელი პარტიის წევრობას დამაბრალებენ, მაგრამ გავბედავ და გამოცანას ვიტყვი: ყველაზე დიდი ფრინველია, თუმცა ფრენა არ იცის. სამაგიეროდ, კარგად დარბის და, რაც მთავარია, უჩვეულო პოზაში დგება - ოღონდ მაშინ, როცა საფრთხეს იგრძნობს. რა არის? თუ პასუხი იცით, მომდევნო კითხვა ასეთია: ვინმეს ხომ არ გაგონებთ?

უპატრონო, მათხოვარი, მაწანწალა... ვიცი რა ჩვენი პოლიტიკელის დახვეწილი გემოვნების ამბავი, ეს სიტყვები მათთვის, ალბათ, სხვა არაფერია, თუ არა მოვეტონი. გისმენთ და გემორჩილებით! ამიტომ ბონ ტონზე ასე დავამთავროთ: გლახაკი, მიუსაფარი, უსახლკარო. და იქვე: მოწყალე, მორჩმული, განგებიანი ... ამ ეპითეტებიდან ვის რომელი შეესაბამება, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.